



მუკეშ მალვია

## პატარა თუ დიდი?




ილუსტრატორი: შაილია ჯაინ ჩუგულე



– ველოსიპედზე დამსვამ? – ვკითხე ჩემს დას.




– არა! – მიპასუხა ჩემმა დამ, – შენ ჯერ პატარა ხარ  
ამ ველოსიპედზე დასაჯდომად.



– წყლის ავსებაში დამეხმარები? – ვკითხე ჩემს დას.



– არა! – მიპასუხა ჩემმა დამ, – უკვე დიდი ხარ და  
შენ თვითონ აავსე.



– შეიძლება, ბოსტნეულის დაჭრაში დაგეხმარო? –  
ვკითხე დედას.



— არა. — მიპასუხა დედამ, — შენ ჯერ პატარა ხარ  
დანის ხელში დასაჭერად.



— შეიძლება, საჭმელი შენ მაჭამო? — ვკითხე  
დედას.



– არა. – მიპასუხა დედამ, – უკვე დიდი ხარ და  
შენ თვითონ მიირთვი.



– შეიძლება, კედელი შევღებო? – ვკითხე მამას.




არა. – მიპასუხა მამამ, – შენ ჯერ პატარა ხარ  
კედლების შესაღებად.





– შეიძლება, ფეხსაცმელები შენ ჩამაცვა? – ვკითხე  
მამას.



— არა. — მიპასუხა მამამ, — უკვე დიდი ხარ და შენ  
თვითონ ჩაიცვი.



დავიბენი.  
დავთიქრდი: ჯერ პატარა ვარ თუ უკვე დიდი ვარ?



ერთ დღეს საწოლის ქვეშ დედაჩემის საყურე ვიპოვე.



– რა კარგია, რამდენ ხანს ვეძებდი! – გაუხარდა  
დედას.



– როგორ გაიზარდა ჩვენი ბიჭუნა! – ამბობდნენ და  
მესუტებოდნენ.



მაგრამ მე ისევ დაბნეული ვარ.

ჯერ პატარა ვარ თუ უკვე დიდი ვარ?

წიგნის სათაური: „დიდი თუ პატარა“

კლასი: 1-2

ტექსტის ტიპი: მხატვრული, თხრობითი

– უკვე დიდი ხარ, შენით შეიკარი  
თასმები!

– ჯერ პატარა ხარ, დანას ხელი არ  
მოკიდო!

ალბათ, შენც ბევრჯერ მოგისმენია  
უფროსებისგან ასეთი რამ და  
გიფიქრია: ბოლოს და ბოლოს, ჯერ  
პატარა ვარ თუ უკვე დიდი ვარ?!

წაიკითხე და გაიგე, რას ფიქრობს  
შენხელა ბიჭი ამაზე.

